პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 4 იანვარი, 1947 წ. № 3 (7787). ფასი 20 კაპ.

მუშები, კოლმეურნეები, ჩვენი ინტელიგენცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ასახელებენ ხალხთა დიდ ბელადს მშობლიურ სტალინს.

მშრომელები თავიანთ კანდიდატებად ასახელებენ პარტიისა და მთავრობის გამოჩენილ მოღვაწეებს, სტახანოველ მუშებს, კოლმეურნეებს, მასწავლებლებს, მათ, ვინც დაუღალავად ზრუნავს ხალხის, სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

ხალხი ასახელებს თავის კანდიდატებს

...აზეიმო ვითარებაში მიმდინარეობს ...რთველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ...ატობის კანდიდატთა დასახე-...ლმი მიძღვნილი წინასაარჩევნო ...ი. ათასობით და ათიათასობით ...მელი ესწრება ამ კრებებს. მუ-..., გლეხები, საბჭოთა ინტელიგენ-... საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-... დეპუტატობის კანდიდატებად ...ხელებენ უკეთესებს უკეთესთა შო-..., საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე ...რიოტებს, იმათ, ვინც თავისი მოღ-...ობითა და შრომით ხალხის სიყვა-რული და პატივისცემა დაიმსახურა.

მთელი ქართველი ხალხი თავის პირველ კანდიდატად ერთსულოვნად ასახელებს საბჭოთა ხალხის დიდ ბელადსა და მეგობარს ამხანაგ **სტალინს.** ორატორები სიყვარულით ლაპარაკობენ თავის დიდ მასწავლებელზე, იმაზე, ვის სახელთანაც განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვება, ვინც მთელი მსოფლიოს ხალხები იხსნა ფაშისტური მონობისაგან, ვინც წინ მიგვიძღვის სრული კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელები ასახელებენ დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლებს ამხანაგებს — **ვ. მ. მოლოტოვს, ლ. პ. ბერიას, კ. ე. ვოროშილოვს, ა. ი. მიქოიანს, ა. ა. ჟდანოვს** — ლენინურ-სტალინური ტიპის სახელმწიფო მოღვაწეებს, მთელი საბჭოთა ხალხის საამაყო შვილებს.

გუშინ და გუშინწინ ჩატარებულ წინასაარჩევნო კრებებზე ხალხმა უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი, ერთგული სტალინელი, ამხანაგი **კ. ნ. ჩარკვიანი,** რომლის ხელმძღვანელობით ქართველმა ხალხმა მრავალი გამარჯვება მოიპოვა.

მშრომელები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებენ სოციალიზმის საქმისათვის ერთგულ ადამიანებს, საბჭოთა პატრიოტებს — ხელმძღვანელ საბჭოთა, პარტიულ, სამეურნეო და პროფკავშირულ მუშაკებს, გამოჩენილ სტახანოველებს, კოლმეურნეებს, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის მოღვაწეთ. უკვე დასახელებულ კანდიდატთა შორის არიან ამხანაგები — **ვ. ბ. გოგუა, გ. ა. გოჩაშვილი, ე. ი. ჩერქეზია, ვ. ა. ლოლაძე, გ. ი. ელისაბედაშვილი, ა. ს. ხუჯაძე, ნ. ბ. გაბუნია, ნ. ი. ჩარკვიანი-გიგაური, ა. ა. გოგოშვილი, ა. დ. გიორგაძე, ი. პ. ყუჯიაშვილი, ი. რ. ხვედელიანი, ო. გ. ჩეჩელაშვილი, ი. ი. ხოდაკი, მ. მ. ივანისელი, ა. ა. ვასაძე, შ. ი. აზმაიფარაშვილი, ო. ა. რუხაძე, მ. გ. ბეროიანი, ნ. ა. ბარათაშვილი, ნ. ა. ჯავახიშვილი** და მრავალი სხვა პარტიული და უპარტიო ბოლშევიკი.

მშრომელთა მრავალრიცხოვანი მასები იღებენ მონაწილეობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენებაში. წინასაარჩევნო კრებებზე მთელი მოსახლეობის ასეთი აქტიური მონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ ჩვენში, საბჭოთა კავშირში, სადაც ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის, სადაც თვითონ ხალხი განაგებს თავის ბედს. ხალხი ახორციელებს სტალინური კონსტიტუციით მინიჭებულ დემოკრატიულ უფლებებს, კრებებზე გულდასმით იხილავს იმათ კანდიდატურებს, ვისაც ანდობს თავის წარმომადგენლობას უმაღლეს საბჭოში. საარჩევნო კრებებზე ჩვენი ადამიანები მიდიან ერთი აზრით, ერთი გრძნობით გამსჭვალულნი — უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად შეარჩიონ მშრომელთა საქმისადმი თავდადებული, უნარიანი ადამიანები, ნამდვილი საბჭოთა პატრიოტები, პარტიულნი თუ უპარტიონი. ჩვენს მუშებს, გლეხებს, ინტელიგენტური შრომის მუშაკებს არა აქვთ სხვადასხვა ინტერესი. ყველა მათ ერთი მიზანი ამოძრავებთ — თავისი საბჭოთა სამშობლოს, თავისი ხალხის კეთილდღეობა.

ის ერთსულოვნება და ურთიერთობა, რასაც ქართველი ხალხი იჩენს თავისი უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების დროს, კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჩვენი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, ჩვენი ადამიანების უსაზღვრო თავდადებას ლენინ-სტალინის საქმისადმი.

კომუნისტთა და უპარტიოთა შეთანხმებული საქმიანობა წარმოადგენს საბჭოთა ხალხის ყოველდღიური ცხოვრების დამახასიათებელ თვისებას. ეს შესანიშნავი თვისება თავს იჩენს უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების ამ უმნიშვნელოვანეს პერიოდშიც. კომუნისტები და უპარტიოები ერთად აყენებენ კანდიდატებს უმაღლეს საბჭოში, ერთად ეწევიან აგიტაციას მათ სასარგებლოდ. ეს გასაგებიც არის, რადგან კომუნისტთა კანდიდატები უმაღლეს საბჭოში ამავე დროს წარმოადგენენ უპარტიოთა კანდიდატებსაც, ხოლო უპარტიოთა კანდიდატები — კომუნისტთა კანდიდატებსაც.

ჩვენი ხალხის ინტერესთა ერთიანობა, მისი საერთო მიზანი — სულ უფრო და უფრო განამტკიცოს თავისი სოციალისტური სახელმწიფო, მიაღწიოს სახალხო მეურნეობის, კულტურის, მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო დონის შემდგომ ამაღლებას, შედეგია ლენინ-სტალინის პარტიის გმირული ბრძოლისა, შედეგია იმისა, რომ ჩვენ გვხელმძღვანელობს და წინ მიგვიძღვის კაცობრიობის უდიდესი გენია, ამხანაგი **სტალინი.**

თავის კანდიდატებად დიდი სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლების დასახელებით, რესპუბლიკის ხელმძღვანელების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა, კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეთა დასახელებით საქართველოს მშრომელნი ნდობას უცხადებენ ბოლშევიკურ პარტიას. მშრომელნი ბოლშევიკურ პარტიაში ხედავენ თავის ნაცად ხელმძღვანელს, რომელსაც ისინი ერთადერთი სწორი გზით მიჰყავს ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ. აი რატომ ასე მტკიცედ სწამს ჩვენს ხალხს ბოლშევიკური პარტიისა, აი რატომ ანდობს მას ხალხი თავის ბედს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება თავის ერთ-ერთ საპასუხისმგებლო პერიოდში შევიდა. ხალხი ასახელებს თავის კანდიდატებს, თავის რჩეულთ უმაღლეს საბჭოში. ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, — ყველგან დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობს. მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები გამოხატავენ საბჭოთა დემოკრატიის ძალასა და უძლეველობას, ცხადჰყოფენ ქართველი ხალხის ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიისადმი, უსაზღვრო სიყვარულსა და თავდადებას სოციალისტური სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი.

ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქი

ელექტროქარხნის, ლენინის ორდენოსანი მოტორმშენებელი ქარხნის, შჩერბაკოვის სახელობის კომბინატისა და მოსკოვის საინსტრუმენტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებებმა რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

მოსკოვის ელექტროქარხანაში

განსაკუთრებული აღფრთოვანების ვითარებაში ჩატარდა 2 იანვარს მოსკოვის ელექტროქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრება. ელექტრომანქანების ამწყობი საამქროს ვეებერთელა კორპუსი ძლივს იტევდა ამ საზეიმო კრებაში მონაწილეობის ყველა მსურველს. ელექტროქარხნის 6 ათასი მუშა შეიკრიბა აქ, რათა წამოეყენებინათ რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი.

კრება გახსნა ელექტრონათურების წარმოების ქარხკომის თავმჯდომარემ ამხ. დ. ი. ბოგატოვმა.

მქუხარე ხანგრძლივი ტაშით კრებამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

შემდეგ თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ატე-1 ქარხნის საშტამპო საამქროს ოსტატს ვასილ გრიგოლის-ძე ალექსეევს. მისი აღფრთოვანებული სიტყვა კრებამ უდიდესი ყურადღებით მოისმინა. ამხ. ალექსეევი დამსწრეთა მეხსიერებაში აღადგენს 1938 წლის ღირსსახსოვარ დღეს, როცა ელექტროქარხნის კოლექტივმა, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისას, ერთსულოვნად დაასახელა საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი ი. ბ. სტალინი.

— საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და გამარჯვებათა მთელი ისტორია განუყრელად არის დაკავშირებული ამხანაგ სტალინის სახელთან, — მქუხარე ტაშის გრიალში ამბობს ამხ. ალექსეევი.

იგი გამოსთქვამს ყველა დამსწრის გრძნობებს და ფიქრებს და მადლობის გრძნობით ლაპარაკობს ხალხის წინაშე ამხანაგ სტალინის უდიდეს დამსახურებაზე, ვისი ხელმძღვანელობითაც ჩვენი ქვეყანა გახდა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო, გამარჯვებული გამოვიდა დიდ სამამულო ომში. და ახლა ამხანაგ სტალინის მიერ აღფრთოვანებული ჩვენი ხალხი თავდადებით იბრძვის ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის.

ტაშის გრიალით, მძლავრი შეძახილებით: „ვაშა მშობლიურ სტალინს!", „გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს!" — ეგებება კრება ამხ. ალექსეევის წინადადებას კვლავ იქნას წამოყენებული იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ტრიბუნაზეა ელექტრონათურების წარმოების ზეინკალი ამხ. პ. მ. ჩუბუკოვი. უპარტიო კადრის მუშის სიტყვა ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს.

ღრმად იჭრება გულში ორატორის მგრძნობიარე სიტყვები მშობლიური სტალინის შესახებ. იგი ლაპარაკობს ომამდელ სტალინურ ხუთწლედებზე, რომლებმაც გარდაქმნეს ჩვენი ქვეყანა, იმაზე, რომ ამხანაგ სტალინის სახელთან დაკავშირებულია ბოლშევიკური პარტიის სახელოვანი მოღვაწეობა და მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრება.

ამხ. ჩუბუკოვი მხურვალედ უჭერს მხარს წინადადებას ელექტროქარხნელებისაგან რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ამხანაგი ი. ბ. სტალინი.

სიტყვა ეძლევა ატე-1 ქარხნის ინჟინერს ამხ. ა. ი. ვანეევს.

მას, ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტს, საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა ინჟინერ-ელექტრიკოსის უმაღლესი ტექნიკური განათლება.

იგი იყო დიდი სამამულო ომის მონაწილე პირველი დღეებიდან მტერზე გამარჯვებამდე. ინჟინერ ვანეევის ბიოგრაფია საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ზრდის მკაფიო ილუსტრაციაა.

ინჟინერი ვანეევი ლაპარაკობს იმაზე, რომ ი. ბ. სტალინის სახელთან დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის მსოფლიო ისტორიული გამარჯვებები დიდ სამამულო ომში, დაკავშირებულია ჩვენი ბედნიერება და ჩვენი შვილების მომავალი.

— აი ამიტომ, — ამბობს ტაშის გრიალში ამხ. ვანეევი, — მე მხარს ვუჭერ საყვარელი ბელადის კანდიდატურას და დარწმუნებული ვარ, რომ ელექტროქარხნელთა მთელი მრავალათასიანი კოლექტივი სთხოვს ამხანაგ სტალინს პატივი დაგვდოს თავისი თანხმობით კენჭი იყაროს რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქში!

სიტყვა ითხოვა ელექტრომანქანების ქარხნის მშტამპავმა ალექსანდრა დიმიტრის ასულმა ფედოსოვამ. მის უბრალო სიტყვაში იყო ყველა დამსწრის აზრი. „ჩვენს დიდ ქვეყანაში, — სთქვა მან, — თვითეული ადამიანი აკეთებს საერთო დიდი საქმის ნაწილს. თვითეული ადამიანი პოულობს თავის ადგილს საერთო მშენებლობაში. საბჭოთა სახელმწიფო და ბოლშევიკების პარტია, პირადად ამხანაგი სტალინი განუწყვეტლივ ზრუნავენ საბჭოთა ადამიანზე"... თავისი აზრის საილუსტრაციოდ ალექსანდრა დიმიტრის ასულს მოჰყავს თვალსაჩინო მაგალითები სტალინის ოლქის მშრომელთა ცხოვრებიდან. იგი ლაპარაკობს მეტროპოლიტენზე, რომელმაც განაპირა რაიონი დაუახლოვა ქალაქის ცენტრს, სარატოვის გაზზე, რომელიც უკვე მიიღო ათასობით მოსკოველმა ბინებში. თავის მადლობას სახელმწიფოსადმი, ამხანაგ სტალინისადმი ასეთი ზრუნვისათვის მუშა ქალი გამოხატავს ისევე, როგორც ამას მილიონობით საბჭოთა ადამიანი აკეთებს: საწარმოო ნორმას იგი 200 პროცენტით ასრულებს. ახალი სტალინური ხუთწლედის პირველ წელს მან ორ წლიურ ნორმაზე მეტი შეასრულა.

— ჩემისთანები მილიონებია, — მხურვალე ტაშის გრიალში ამბობს სტახანოველი და დასძენა, რომ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს არჩევნების პატივსაცემად იგი კისრულობს საწარმოო გეგმა შეასრულოს არა ნაკლებ 250 პროცენტით. ამხ. ფედოსოვა სულითა და გულით უჭერს მხარს წინადადებას რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ი. ბ. სტალინის წამოყენების შესახებ.

სიტყვას ამბობს ელექტრონათურების წარმოების ინჟინერი, სტალინური პრემიის ლაურეატი ი. ა. შლიგინა. იგი მხარს უჭერს წინადადებას წამოყენებულ იქნას ამხანაგი ი. ბ. სტალინი რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

სატრანსფორმატორო წარმოების კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. მ. პ. სემიონოვი ელექტროქარხნის 3 ათასი კომკავშირელისა და ახალგაზრდის სახელით მხურვალედ უჭერს მხარს ამხანაგ ი. ბ. სტალინის კანდიდატურას.

სიტყვები დამთავრდა. ტრიბუნაზე ადის ელექტრო-მანქანების ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანი ა. მ. გორბუნოვი, რომელიც წინადადებას იძლევა ეთხოვოს იოსებ ბესარიონის-ძეს დათანხმდეს კენჭი იყაროს დეპუტატობაზე ელექტროქარხნის კოლექტივისაგან ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქში. საერთო კრებამ ერთსულოვნად, მქუხარე ტაშით, მიიღო დადგენილება წამოყენებულ იქნას ი. ბ. სტალინი რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქში და სთხოვს მას დათანხმდეს კენჭი იყაროს ამ ოლქში.

შემდეგ საერთო კრებამ აირჩია თავისი 68 წარმომადგენელი სტალინის საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო საოლქო თათბირზე.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინს. (საკდესი).

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

მოსკოვის ელექტროქარხნის მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების საერთო კრებისა

მოსკოვის ელექტროქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების საერთო კრებამ განიხილა რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენების საკითხი ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქში და **დაადგინა:**

1. რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქში მოსკოვის ელექტროქარხნის მუშების, მოსამსახურეების, ინჟინრებისა და ტექნიკოსებისაგან წამოყენებულ იქნას საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი, ლენინის საქმის ბრძენი გამგრძობი, ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

2. ეთხოვოს ამხანაგ ი. ბ. სტალინს თანხმობა რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქში მოსკოვის ელექტროქარხნის მუშების, მოსამსახურეების, ინჟინრებისა და ტექნიკოსებისაგან.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ამხანაგ მოლოტოვს

თბილისის № 8 კარტოგრაფიული ფაბრიკის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ ერთსულოვნად წამოგაყენათ, თქვენ, ლენინისა და სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, საბჭოთა ქვეყნის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და გიძღვნით გულითად ბოლშევიკურ სალამს.

ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ! დიდი სამამულო ომის წლებში თქვენ ბოლშევიკური ოსტატობითა და სიმტკიცით ახორციელებდით სტალინურ საგარეო პოლიტიკას. ამჟამად, რთულ საერთაშორისო ვითარებაში, თქვენ, ბრძნული სტალინური დიპლომატიის სახელოვანი ხელმძღვანელი, თანმიმდევრულად და მტკიცედ იცავთ საბჭოთა სახელმწიფოს და თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ინტერესებს ხანგრძლივი, მტკიცე, დემოკრატიული მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ქვეყნის მილიონობით მშრომელი თქვენში ხედავს საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთ უსაყვარლეს და გამოჩენილ მოღვაწეს, ვისი ენერგია და დაუღალავი შრომაც მთლიანად მიძღვნილია ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებისა და დიდების განმტკიცებისადმი.

ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ხალხთან ერთად გამარჯვების ურყევი რწმენით იბრძოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. დღეს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმურ ოჯახში, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ქართველი ხალხი თავდადებით ახმარს მთელ თავის ძალებს იმას, რომ სავსებით მოუშუშოს ჩვენს ქვეყანას ომით მიყენებული ჭრილობები, კიდევ უფრო აამაღლოს ჩვენი სოციალისტური მეურნეობა, ხალხის მასების კეთილდღეობა, კულტურა. საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა აღგვაფრთოვანებს ჩვენ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის საბრძოლველად.

მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ, თხოვნით — დათანხმდეთ და კენჭი იყაროთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის № 9 მოლოტოვის საარჩევნო ოლქში.

გაუმარჯოს საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს!

დიდება დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას

ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ!

ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენებას მიეძღვნა, ერთსულოვნად დაასახელა რა თქვენი კანდიდატურა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, ქართველი ხალხის სახელოვან შვილს, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთ გამოჩენილ ხელმძღვანელს დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს.

ჩვენო საყვარელო ლავრენტი პავლეს-ძევ! თქვენს სახელთან დაკავშირებულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, მისი სახალხო მეურნეობის, მისი კულტურისა და ხელოვნების აყვავება. ქართველი ხალხი თქვენ აღზარდეთ ჩვენი საბჭოთა სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

თქვენ, ლავრენტი პავლეს-ძევ, ბრწყინვალედ განახორციელეთ კავკასიის მთისძირებში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების სტალინური გეგმა. თქვენი ხელმძღვანელობით მტერი განადგურებულ იქნა და ამიერკავკასიის ხალხები გადარჩნენ.

ახლა, როცა საბჭოთა კავშირი, გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებსა და იაპონელ იმპერიალისტებზე მოპოვებულ ისტორიულ გამარჯვებათა შემდეგ კვლავ შეუდგა მშვიდობიან მუშაობას, ხელი მიჰყო სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღდგენისა და განვითარების ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმის დიად ამოცანათა შესრულებას, — ქართველი ხალხი სსრ კავშირის ძმური ხალხების ოჯახში მთელ თავის ძალებს ახმარს დიად სამუშაოთა სტალინური პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლას.

მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ, და გთხოვთ დათანხმდეთ კენჭი იყაროთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის ერთგულ შვილს ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას!**

გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

საქართველოს სს რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა თამბაქოს დამზადების გეგმა

საქართველოს სს რესპუბლიკამ ვადამდე, 2 თვით ადრე, შეასრულა თამბაქოს დამზადების გეგმა. 1 იანვრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 10.595,4 ტონა თამბაქო, ანუ გეგმის 100,9 პროცენტი.

დამზადებული თამბაქოს საერთო რაოდენობაში უმაღლეს ხარისხთა ხვედრითი წონა შეადგენს 30,7 პროცენტს, 1945 წლის 24,45 პროცენტის ნაცვლად.

თამბაქოს დამზადების გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ (111,7 პროცენტი) და აჭარის ასს რესპუბლიკამ (110,7 პროცენტი).

თამბაქოს დამზადების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე ლაგოდეხისა და ჩოხატაურის რაიონებმა.

თამბაქოს დამზადება გრძელდება. (საქდესი).

გორელ მეკონსერვეთა მიღწევა

გორის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. პ. საყვარელიძე) წარმატებით დაამთავრა 1946 წლის საწარმოო პროგრამა. ქარხანამ წლიური გეგმა 10 დღით ადრე შეასრულა და ახალი სამეურნეო წლის დასაწყისისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვა რამდენიმე ასეული ათასი ქილა კონსერვი.

ქარხნის კოლექტივი ახალი ენერგიით შეუდგა 1947 წლის საწარმოო დავალებათა შესრულებას.

შ. ჩუბინიძე

ქ რ ო ნ ი კ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ სამშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილედ დანიშნა ამხ. ვარლამ ბესარიონის-ძე **ლაშქარაძე** და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილედ ამხ. გრიგოლ ნიკოლოზის-ძე **აბრამაშვილი.**

ტყიბულელი მეშახტეები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებენ დიდ სტალინს

ლენინის სახელობის შახტის კლუბი საზეიმოდ მოურთავთ: სცენას ამშვენებენ ლენინისა და სტალინის პორტრეტები, ალისფერი დროშები, არჩევნებისათვის მიძღვნილი ლოზუნგები.

დარბაზი ხალხით გაივსო. მოვიდნენ მეშახტეები, ინჟინერ-ტექნიკოსები, დიასახლისები, მოსამსახურენი. 7 საათზე დაიწყო ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრება, მიძღვნილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი. კრება გახსნა საშახტო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. პატარიძემ.

სიტყვა აიღო პარტბიუროს მდივანმა ამხანაგ იოსელიანმა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მან დაასახელა ხალხთა საყვარელი ბელადი, მშრომელთა მამა და მასწავლებელი საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი ამხანაგი **სტალინი.** დარბაზში ტაშმა იგრიალა, გაისმა მისასალმებელი შეძახილები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

უბნის უფროსმა ამხანაგ ჩიტიშვილმა სთქვა: — ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს. **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ვასახელებთ მშობლიურ სტალინს, ჩვენს დიდებასა და სიამაყეს. სიცოცხლე და დღეგრძელობა დიდ სტალინს!**

სიტყვით გამოვიდნენ მოწინავე მბურღავი ამხ. ზაზულია, უბნის უფროსი ამხ. ვაშაკიძე, მოსამსახურე ჩხეიძე და სხვები.

ამავე დღეს სოფელ კურსების კოლმეურნეთა კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე **ბერია.** ლ. პ. ბერიას კანდიდატურას მხარი დაუჭირეს კოლმეურნეებმა იამანიძემ, გოგოლაშვილმა, ბეროძემ და სხვებმა.

ტყიბულელმა შახტმშენებლებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი კანდიდ ნესტორის-ძე **ჩარკვიანი.** სიტყვით გამოვიდნენ და ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს შახტმშენებლობის ტრესტის მმართველმა ამხ. ცირეკიძემ, ორდენოსანმა ბრიგადირმა ბარტნოვსკიმ, შახტმშენებლობის უფროსმა კობახიძემ და სხვებმა.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ ლენინ-სტალინის პარტიის საქმის ერთგულ ადამიანებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქგრიკოგაქის“ შაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ბექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ანდრია ალექსანდრეს-ძე ქადანოვი

დიდი პოლიტიკური აღმავლობის ეთარებაში ჩატარდა გუშინ „საქტრიკოტაჟის“ ფაბრიკაში წინასაარჩევნო კრება, მიძღვნილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი.

კრება გახსნა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ლ. პაპავამ.

კრება მჭახარე, ხანგრძლივი ტაშით სამატიო პრეზიდიუმში ირჩევს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით, აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. კ. ნ. ჩარკვიანს.

ცხრამი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ გამოვიდა ფაბრიკის დირექტორი ამხ. მ. ირაკლეოვა.

შემდეგ სიტყვა მიეცა სტახანოველ ამხ. ბ. დოლიძეს.

ტაშის გრიალსა და მისასალმებელ შეძახილებში ამხ. დოლიძე წინადადებას იძლევა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ანდრია ალექსანდრეს-ძე ქადანოვი.

უდიდესია ამხანაგ ქადანოვის დამსახურება მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის პოსტზე ამხანაგმა ქადანოვმა თავი გამოიჩინა როგორც თვალსაჩინო პოლიტიკურმა და სახელმწიფო მოღვაწემ, როგორც სტალინურ მითითებათა ერთგულმა გამტარებელმა. უდიდესი მუშაობა გასწია ამხანაგმა ქადანოვმა სამამულო ომის დღეებში. ბერლინ ლენინგრადის გარემოცვის ძნელ დღეებში ოი ხელმძღვანელობდა ქალაქის დაცვას. უდიდესი დამსახურება მოიმოქმედა. მას ლენინგრადთან ეერანელ დამსაურობთა განადგურებისათვის საბრძოლველად ლენინგრადელთა მობილიზაციის საქმეში. ამხანაგ ქადანოვს მთელი საბჭოთა ხალხი იცნობს, როგორც ჩვენი სამშობლოს ერთგულ შვილს, მგზნებარე პატრიოტს, როგორც დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს.

უდიდესია ამხანაგ ქადანოვის დამსახურება იდეოლოგიურ ფრონტზე. მის გამოსელებს იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი პარტიული ორგანიზაციების მუშაობისათვის, საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის შემდგომი განვითარების საქმისათვის.

ამხ. დოლიძის წინადადებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ქადანოვის წამოყენების შესახებ მხურვალედ დაუჭირეს მხარი სამკერვალო საამქროს ბრიგადირმა ამხ. თ. პარკაძემ და სატრიკოტაჟო საამქროს სტახანოველმა ამხ. ე. ბოგომოლოვამ. ისინი ამხანაგ ქადანოვს ახასიათებენ, როგორც გამოჩენილ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს, როგორც დიდი რუსი ხალხის ერთგულ შვილს.

ამხანაგებმა პარკაძემ და ბოგომოლოვამ კრებას აცნობეს თავიანთი ვალდებულება—ყოველთვიურად შეასრულონ ორ-ორი ნორმა.

წინდის საამქროს უფროსი ამხ. ე. ოგანესო

ჩვენი ქვეყნის მშრომელები უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ ლენინ-სტალინის პარტიის საქმის ერთგულ ადამიანებს

თბილისის მეორე სამკერძავო უბნის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა

კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვი

მეშათა კლუბი საზეიმოდ არის მორთული. კედლებზე გაკრულია ლოზუნგები: „ავიარჩიოთ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში უკეთესნი უკეთესთა შორის!“, „სტალინური ხუთწლიანი გეგმა განხორციელებული იქნება“.

კლუბში შეიკრიბა თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის 700-ზე მეტი მეშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკოსი.

კრება გახსნა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ნ. გოგუბაშვილმა.

საპატიო პრეზიდიუმში კრებამ ერთხმად აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით და ამხანაგი კ. ჩარკვიანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების ამოცანებზე ილაპარაკა ფაბრიკის დირექტორმა ამხ. ხ. ჩადრანოვმა. მან დამსწრეთ გააცნო ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების წარმატებები, რაც მოპოვებულია ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით.

მოწონებულ სტუმარად ფაბრიკის ოსტატმა ამხ. ეთერ დალაქიშვილმა კრებას მოუთხრო, თუ როგორ გაძლიერდა სოციალისტურ-საპრაპაგანდო მუშაობა არჩევნებისათვის მზადების დღეებში, ილაპარაკა, თუ რა ალიზარიანებებით ემზადება ფაბრიკის კოლექტივი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის.

— აქ ჩვენ შეეკრიბეთ იმისათვის, — სთქვა მან, — რომ დავასახელოთ ჩვენი კანდიდატი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში. წინადადება შემომაქვს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საბჭოთა კავშირის მარშალი კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვი. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგ ვოროშილოვს მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს როგორც წითელი არმიის ერთ-ერთ გამოჩენილ სარდალს და ლენინ-სტალინის ტიპის საბჭოელ-წიფო მოღვაწეს. ამიტომ მას ყველა მშრომელი სიამოვნებით მისცემს ხმას.

ამხ. ე. დალაქიშვილის წინადადებას მხარი დაუჭირეს ფაბრიკის ეკონომისტმა ამხ. ძაძუკამ, მკერავმა ადიბეგოვამ, ცვლის ოსტატმა ცქვიტნიანემ და სხვებმა.

ფაბრიკის კოლექტივმა მიიღო დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვი და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს თბილისის ბარათაშვილის № 20 საარჩევნო ოლქში.

კრებამ აირჩია წარმომადგენლები სოლიტ წინასაარჩევნო თათბირზე დასასწრებლად.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის დენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა

შალვა ილიას-ძე აზმაიფარაშვილი

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამსახეზე მეტი მეშა-მოსამსახურე და მსახიობი შეიკრიბა 3 იანვარს წინასაარჩევნო კრებაზე.

კრება გახსნა პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ვ. მგელაძემ.

საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგი კ. ჩარკვიანი.

პირველი სიტყვა აიღო ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორმა ამხ. მ. დუდუნიავამ.

ამხ. მ. დუდუნიავამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარი დირიჟორი ამხ. შალვა ილიას-ძე აზმაიფარაშვილი.

ოპერის თეატრის სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელმა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ამხ. დ. ანდღულაძემ შალვა ილიას-ძე აზმაიფარაშვილი დაახასიათა როგორც საუკეთესო მუშაკი, მოწინავე დირიჟორი. დაუღლელი და ენერგიული შრომისათვის მას მიღებული აქვს ორი ორდენი და ორი მედალი. ამხ. შ. აზმაიფარაშვილი საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. მან გაამართალა ამომრჩეველთა ნდობა.

ამხ. შ. ი. აზმაიფარაშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს აგრეთვე მომდერალმა დ. მუჯდლიძემ, მოცეკვავე ი. სუხიშვილმა, რეჟისორმა კვალიაშვილმა და სხვებმა.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მეშა-მოსამსახურეთა და მსახიობთა საერთო კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ამხ. შ. ი. აზმაიფარაშვილი და ეთხოვოს მას თანხმობა კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე თბილისის ბერიას რაიონის რუსთაველის № 17 საარჩევნო ოლქში.

ქალაქ მოსკოვის მოსკვორეცკის საარჩევნო ოლქი

ვლადიმერ ილიჩის სახელობის ქარხნის მეშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა

ამხ. ლავრენტი პაველის-ძე ბერია

პროკურატურების კაბინეტში შექმნილ არის გამთბებელი საზეიმოდ მორთული ვლადიმერ ილიჩის სახელობის ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქრო. პროზიდიუმის მაგიდის თავზეა ამხანაგ ი. ბ. სტალინის დიდი პორტრეტი, სტალინური კონსტიტუციისა და მომავალი არჩევნებისადმი მიძღვნილი ლოზუნგები.

18 საათზე შესწყდა დაზგების გუგუნი და საამქროს აივსო თავისი სახელოვანი რევოლუციური ტრადიციებით მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილი ქარხნის 3 ათასმა მეშა-მოსამსახურემ. ამ საწარმოს კოლექტივმა დიდი წელილი შეიტანა მტერზე გამარჯვების საქმეში. 25-ჯერ მოიპოვა მან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და საომარ ოთხ წლებში თავდადებული შრომისათვის მიიღო იგი სამედალოდ. წარმატებით შრომობდენ მეშა-მოსამსახურეები ახალი ხუთწლეულის პირველ წელს. ვადაზე ადრე დაამთავრა წლიური პროგრამა ქარხანამ და ჩვენს ქვეყანას მისცა 1.700 ათასი მანეთის პროდუქცია გეგმის გადამეტებით, აითვისა მთელი რიგი ახალი სასოფელ-სამეურნეო მანქანების სეროიელი გამოშვება.

მეშა-მოსამსახურეთა საერთო კრებას, რომელიც მიძღვნილია რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი მოსკოვრეკების საარჩევნო ოლქში, ხსნის ქარხნის თავმჯდომარე ნ. ი. ხლოპიეკი. იგი სიტყვას აძლევს სარემონტო-მექანიკური საამქროს ოსტატს მ. ა. პოდკოპაევს.

ამხ. პოდკოპაევის წინადადებას — რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მოსკვორეცკის საარჩევნო ოლქში ამხანაგ ი. ბ. სტალინის ერთგული თანამებრძოლის ლავრენტი პაველს-ძე ბერიას წამოყენების შესახებ—დამსწრენი ზანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

ამხ. პოდკოპაევი ლაპარაკობს ამხ. ბერიას ცხოვრების გზის შესახებ.

— მეშაობს რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე, ამხ. ბერია დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა დედაქალაქს, ზრუნავს მის უზრუნველსაყოფად სათბობით, ელეტროენერგიით, ეხმარება მოსკოვის რეკონსტრუქციის საქმეს. მოვუწოდებ ყველა დამსწრეს მხარი დაუჭიროს ამხ. ბერიას კანდიდატურას რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე მოსკვორეცკის საარჩევნო ოლქში. (ტაში).

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ტექნიკოს ვ. ვ. დოვეროვას.

—ამხ. ბერია,—ამბობს იგი,—ჩვენს ქვეყანაში ცნობილია როგორც ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე, როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა ბელადის დიდი სტალინის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი და თანამეგზე. ლავრენტი პაველს-ძე ბერიამ პპბ-ეკის წლებიდან დაუკავშირა თავისი ბედი ბოლშევიკების პარტიას, მთელ თავის ძალებს ახმარს ხალხის სამსახურს. ომის წლებში ამხ. ბერია ხელმძღვანელობდა მრეწველობას, რომელიც ამზადებდა საომარ მასალასა და შეიარაღებას წითელი არმიისათვის. მან დიდი დახმარება აღმოიჩინა, ეკრძოდ, ჩვენს ქარხანას.

ამხანაგ ბერიას კანდიდატურას მხარეულად დაუჭირეს მხარი № 26 საამქროს კომორგმა გასოკოლოვამ, საამქროს უფროსმა ვ. ა. ლარინმა, ქარხნის დირექტორმა ძ. ს. ზავარაინმ, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგმა ქარხანაში ამხ. მახუნინმა.

ვლადიმერ ილიჩის სახელობის ქარხნის მეშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა:

1. რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვლადიმერ ილიჩის სახელობის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ქარხნის მეშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივისაგან წამოყენებულ იქნას ამხ. ლავრენტი პაველს-ძე ბერია—სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დაბადებული 1899 წელს, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი 1917 წლიდან.

2. ეთხოვოს ამხ. ლ. პ. ბერიას თანხმობა რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ქალაქ მოსკოვის მოსკვორეცკის საარჩევნო ოლქში. (საკდეხი).

ნ. ნანეიღის მეგბრძოლთა, სერეანგთა და ოფიცერთა კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა

ვასილ ბარნაბის-ძე გოგუა

3 იანვარს შესდგა ნ სამხედრო ნაწილის ჯარისკაცთა, სერეანტთა და ოფიცერთა კრება, მიძღვნილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი.

უმცროსმა ლეიტენანტმა ვ. ნოეიკიმ წინადადება შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ნინეიღის ბარათაშვილის № 20 საარჩევნო ოლქში.

ამხ. ნოეიკის წინადადებას მხარი დაუჭირეს ეკონომისტმა ამხ. ძაძუკამ, მკერავმა ადიბეგოვამ, ცვლის ოსტატმა ცქვიტნიანემ და სხვებმა.

ფაბრიკის კოლექტივმა მიიღო დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვი და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს თბილისის ბარათაშვილის № 20 საარჩევნო ოლქში.

თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის კოლექტივის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა

ვახტანგ ალექსანდრეს-ძე ლოლაძე

თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე გახსნილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისა და ჩელიუსკინელების № 8 საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო თათბირზე წარმომადგენლების გაგზავნის საკითხი.

სიტყვით გამოსულმა ამხ. ს. ხასაიამ დამსწრეთ მოუთხრო ჩვენი ქვეყნის ისტორიულ გამარჯვებაზე, რაც მოპოვებულ იქნა ლენინ-სტალინის პარტიის, სტალინური კონსტიტუციისა და ენინელური შემოქმედის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. ამხ. ხასაიამ აღნიშნა, რომ ფაბრიკამ 1946 წელს წარმატებით იმუშავა, წლიური გეგმა 30 ნოემბრისათვის 101.5 პროცენტით შეასრულა. მან მოიწოდა დამსწრეთ ინრძოლონ ახალი მეოწეებისათვის.

ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ა. ალიბეგოვამ სთქვა:

— საჭიროა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, რომელსაც მხარს დაუჭერენ კომუნისტებიც და უპარტიოებიც. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მე ვასახელებ ვახტანგ ალექსანდრეს-ძეს ლოლაძეს. ეს კარგად ხელმძღვანელობდა სტალინის რაიონის პარტიულ ორგანიზაციას და ახლა მეშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნად კადრების დარგში.

ამხ. კარპოვამ წინადადებას მხარი დაუჭირეს ფაბრიკის დირექტორმა ო. პალიანმა, ინჟინერმა ბ. გორეგორიანმა, სტახანოველმა ელენე ბერიაშვილ. მათ რწმენა გამოსთქვეს, რომ ამხ. ლოლაძე ღირსეულად გაამართლებს ფაბრიკის კოლექტივის ნდობას.

კრებამ მიიღო დადგენილება წარილით მიმართოს ამხ. ლოლაძეს, რათა თანახმანდეს კენჭი იყაროს ჩელიუსკინელების № 8 საარჩევნო ოლქში.

კრებამ ოლქის წინასაარჩევნო თათბირზე წარმომადგენლებად გაგზავნა 20 კაცი.

თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა

კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი

თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის მეშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრება, რომელიც გუშინ შესდგა, მიეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას.

კრებას გახსნა ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ამხ. მ. არეშიძემ.

კრებამ ბანგრძლივი ტაშით სპატიცა პრეზიდიუმში აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროთ ამხანაგ სტალინის მეთაურობით, აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი.

სიტყვას იღებს სტახანოველი ამხ. გ. ხუბასარიანი.

— საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად,— სთქვა მან,—ეს ასახელებ ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს, საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხანაგ კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანს.

ამხ. ხუბასარიანის წინადადებას ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ კრების მონაწილენი.

— ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი,—სთქვა სტახანოველმა ვ. გამყრელიძემ,—საქართველოს ბოლშევიკების ნაკადი ხელმძღვანელია. ქართველი ხალხი, აღზრდილი ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ სახელოვან სტალინურ ტრადიციებზე სამშობლოსადმი, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ოსების ბესარიონის-ძე სტალინისადმი უსაზღვარო ერთგულების სულისკვეთებით, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით წარმატებით ასრულებს მოთხე სტალინური ხუთწლეულის ეუუპერ მხარს ამხ. ხუბასარიანის წინადადებას.

ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს სტახანოველმა ამხ. ს. მიკირტიჩიანმა და მ. იაროვამ.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი წამოყენებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის მოლოტოვის რაიონის გორკის № 12 საარჩევნო ოლქში.

თბილისის სპიღენძსაგალვანი ქარხნის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა

ევგენი ილარიონის-ძე ჩერქეზიანი

სპიღენძსატკეცი ქარხნის მეშაკთა საერთო კრება, მიძღვნილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი, გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ი. ჩანკვეტაძემ. ქარხნის დირექტორმა ამხ. ნ. ორჯონიკიძემ ილაპარაკა იმ საწარმოო ღონისძიებებზე, რაც გამოიწვია არჩევნებისათვის მზადებამ. მან აღნიშნა, რომ კიროველთა მოწოდების პასუხად ქარხანას ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება 1946 წლის დეკემბრის გეგმა 110 პროცენტით შეესრულებინა, ფაქტიურად გეგმა 114 პროცენტით შესრულდა. ახლა საჭიროა ეიბრძოლოთ იმისათვის, რათა ახალი წარმატებებით შეეგებდეთ 9 თებერვალს.

— ჩვენმა კოლექტივმა, — სთქვა პარტბიუროს მდივანმა ამხ. თ. პატარიძემ,—ენდა დასახელოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი. წინადადება შემომაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, ენერგიული მუშაკი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ეფტეხი ილარიონის-ძე ჩერქეზიანი.

ამხ. პატარიძის წინადადებას მხარი დაუჭირეს ინჟინერმა მ. ყუფარაძემ, ძველმა მუშამ, უპარტიო ბოლშევიკმა ა. ახობაძემ და პ. სუსლოკოვმა.

კრების დადგენილებით ამხ. ჩერქეზიას ეთხოვა თანხმობა კენჭი იყაროს ტელანანის № 6 საარჩევნო ოლქში.

ოლქის წინასაარჩევნო თათბირზე დასასწრებლად კრებამ აირჩია თავისი წარმომადგენელები.

თბილისის მე-17 პოლიკლინიკის თანამშრომელთა საერთო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა

ოთარ გრიგოლის-ძე ჩეჩელაშვილი

მე-17 პოლიკლინიკის თანამშრომელთა წინასაარჩევნო კრებაზე სიტყვა წინადადებისათვის აიღო ექიმმა ი. ბერიაშვილმა.

— მთელი ჩვენი ქვეყანა,—სთქვა მან,—იცნობს ქართველი ხალხის მამაცი შვილის, საბჭოთა კავშირის გმირის ოთარ ჩეჩელაშვილის სახელს. იგი ჯერ ს

აჭარა ამ დღეებში

აჭარის მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები დიდი პოლიტიკური აქტივობით მიმდინარეობს. საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელები ასახელებენ მოწინავე ადამიანებს.

სტალინის სახელობის ბათუმის ნავთსახდელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრებაზე მეხუთე საამქროს უფროსმა ამხ. დ. სულაბერიძემ სთქვა:

— სასიხარულო დღეებს განვიცდით. ჩვენ ვახორციელებთ სტალინური კონსტიტუციით მონიჭებულ დიად უფლებებს, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ვასახელებთ რჩეულ ადამიანებს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მე ვასახელებ ჩვენს მამასა და მასწავლებელს, ჩვენს იმედსა და ნუგეშს ამხანაგ **სტალინს.**

დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად დარბაზში იგრიალა ტაშმა. კრების მონაწილენი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

ამხ. სულაბერიძის წინადადებას მხარი დაუჭირეს სტახანოველებმა რ. ბაშალეიშვილმა, ტ. მოვჩანმა, ა. გრაფსკიმ.

წინასაარჩევნო კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიც ვკითხულობთ: ეთხოვოს ამხანაგ სტალინს თანხმობა — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ქალაქ ბათუმის სტალინის № 218 საარჩევნო ოლქში.

ბათუმის ნავსადგურის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა დიდი სტალინის ღირსეული თანამებრძოლი, რუსი ხალხის სახელოვანი შვილი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვი.**

კრებამ თხოვნით მიმართა მოლოტოვს დასთანხმდეს და კენჭი იყაროს ქალაქ ბათუმის ლენინის № 217 საარჩევნო ოლქში.

550 კაცი დაესწრო რუსთაველის სახელობის ბათუმის პედინსტიტუტში პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა წინასაარჩევნო კრებას. კრების მონაწილეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი, სოციალისტური შრომის გმირი ლავრენტი პავლეს-ძე **ბერია.**

კრებამ მიიღო დადგენილება ეთხოვოს თანხმობა ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ქალაქ ბათუმის ბერიას № 219 საარჩევნო ოლქში.

ორჯონიკიძის სახელობის ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა დიდი სტალინის სახელოვანი თანამებრძოლი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ანდრია ალექსანდრეს-ძე **ჟდანოვი.**

რკინიგზის ბათუმის კვანძის სავაგონო დეპოს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე **ჩარკვიანი.**

ხალხი დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებს თავის რჩეულ შვილებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებული არიან: ტრესტ „საქართველოს ჩაის" მმართველი მიხეილ ბესარიონის-ძე სარჯველაძე, ბათუმის რაიონის სოფელ ხელვაჩაურის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" სტახანოველი ესმა ბაირამალის ასული აბულაძე, მასწავლებელი ფიქრიე ოსმანის ასული ხალვაში, სტახანოველი კოლმეურნე გულფიდან მემედის ასული ვარშანიძე.

წინასაარჩევნო კრებები აჭარის ასს რესპუბლიკაში წარმატებით გრძელდება. ეს კრებები ცხადჰყოფენ ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, საბჭოთა დემოკრატიზმის ძალასა და უძლეველობას.

ქ. რუსიშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ქუთაისის მშრომელები ასახელებენ თავიანთ კანდიდატებს

ქუთაისის პეტროქარხნის მშენებლობის მუშა-მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრებას, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას, 700-ზე მეტი კაცი დაესწრო.

მქუხარე ოვაციით კრებამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით.

პირველი სიტყვა ეძლევა მექანიკური საამქროს მთავარ მექანიკოსს ამხ. ი. აკინჩიცს. მან ილაპარაკა ბრწყინვალე გამარჯვებათა შარავანდედით მოსილ გზაზე, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ განვლო სტალინური კონსტიტუციის დროშით, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით. ორატორმა წინადადება შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ხალხთა დიდი ბელადის, მამისა და მასწავლებლის მშობლიური სტალინის დასახელების შესახებ.

ამ წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი პირველი ობიექტის უფროსმა ვ. კერესელიძემ, მექანიკური საამქროს სტახანოველმა ი. გონჩაროვმა, ლითონკონსტრუქციის საამქროს უფროსმა კონტროლიორმა გ. პოლიანენკომ.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება: ეთხოვოს ამხანაგ სტალინს დათანხმდეს კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ქუთაისის ყიროვის № 133 საარჩევნო ოლქში.

ფიზიოთერაპევტული ინსტიტუტის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი, დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილი ამხანაგი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მუშაკებმა თავის წინასაარჩევნო კრებაზე დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა დეპუტატობის თავის კანდიდატად დაასახელა საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.

გ. მეფისაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ღირსეული კანდიდატები

გურჯაანის მშრომლები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლთ, ერთგულ სტალინელებს, რომლებმაც საქმით დაიმსახურეს ხალხის ნდობა.

სოფელ ველისციხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად წამოაყენა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.

სოფელ კარდანახის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში წინასაარჩევნო კრებას 300-მდე კოლმეურნე დაესწრო. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კრებაზე წამოყენებულ იქნა ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. კრების მონაწილეებმა გადასწყვიტეს სთხოვონ ამხანაგ ბერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს მათს ოლქში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრება დიდი აღმავლობით ჩატარდა კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. კრებამ ერთხმად დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენოს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი ამხანაგი ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი.

ვ. ციხისთავი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

სამოქალაქო საჰაერო ფლოტი არჩევნების დღეებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების უკეთ მომსახურების მიზნით სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველომ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი.

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ეწყობა საჰაერო მიმოსვლა 25 ტრასაზე, ამათგან 17 ტრასაზე საჰაერო მიმოსვლა პირველად მოეწყობა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ახალი დასაშვები მოედნების გამოკვლევა. ყველა ახალ მოედანზე მივლინებულ იქნება მომსახურე პერსონალი — ტექნიკოსები, მეკავშირეები.

ახალი საჰაერო ტრასების საშუალებით რაიონები დროულად იქნებიან უზრუნველყოფილი საარჩევნო ბიულეტენებით, ლიტერატურით, გაზეთებითა და სხვ.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 31 დეკემბერი. (ტასი). უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რომელიც დღეს შესდგა, განიხილავდნენ საბჭოთა კავშირის წინადადებას შეიარაღების საყოველთაო რეგულირებისა და შემცირების თაობაზე გენერალური ასამბლეის რეზოლუციის ცხოვრებაში გასატარებლად წინადადებათა მომზადებისათვის კომისიის შექმნის შესახებ. უშიშროების საბჭომ გადასწყვიტა ამ წინადადების განხილვის გადადება მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჯონსონმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები წინააღმდეგი არ არიან, რომ საბჭოთა წინადადება შეტანილ იქნას დღის წესრიგში, მაგრამ მიაჩნიათ, რომ უმჯობესი იქნებოდა უშიშროების საბჭოს ჯერ განეხილა გენერალური ასამბლეის რეზოლუცია შეიარაღების შემცირების შესახებ და შემდეგ განეხილა საბჭოთა კავშირის წინადადება შეერთებული შტატების წინადადების და იმ წინადადებათა თანაბარ საფუძველზე, რომლებიც ამ საკითხზე შეიძლება შემოიტანონ სხვა წევრებმა.

ჯონსონმა აგრეთვე განაცხადა, რომ ამ საკითხის განხილვის ვადის გადადება უშიშროების საბჭოს წევრებს შესაძლებლობას მისცემს შეისწავლონ წინადადებანი და მიიღონ ინსტრუქციები სათანადო მთავრობათაგან.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ საბჭოთა წინადადება ეხება გენერალური ასამბლეის რეზოლუციის განხორციელების შესახებ, და დაიმოწმა ამ რეზოლუციის მთელი რიგი ადგილები, რომლებიც უშიშროების საბჭოს ურჩევენ სასწრაფოდ განიხილოს ეს საკითხი და მალე მიიღოს გადაწყვეტილება რეზოლუციის შესახებ. გრომიკოს აზრით, უშიშროების საბჭოს შემდეგი სხდომა მოწვეულ უნდა იქნას არაუგვიანეს 7 იანვრისა. უშიშროების საბჭომ ეს წინადადება მიიღო.

თავმჯდომარემ ჯონსონმა განაცხადა, რომ უშიშროების საბჭომ მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თავმჯდომარის წერილი ტრიესტის შესახებ მინისტრთა გადაწყვეტილების თაობაზე, მაგრამ მეტად გვიან, და ამიტომ იგი შეტანილ არ იქნა 31 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგში. ამ წერილის ტექსტი ჯერ გამოქვეყნებული არ არის, მაგრამ, როგორც იუწყებიან, წერილი ეხება ტრიესტში საერთაშორისო ადმინისტრაციის შექმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტროლით, შეთანხმებას გუბერნატორისათვის ჯამაგირის მიცემის შესახებ და სხვა.

ჯონსონმა თხოვნით მიმართა მის შემდეგ მომყოლ თავმჯდომარეს — ავსტრალიის დელეგატს — წერილი ტრიესტის შესახებ პირველ მუხლად დასვას შემდეგი სხდომის წინასწარ დღის წესრიგში. ჯონსონმა განაცხადა, რომ ეს შეესაბამება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სურვილს.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგი არ არის ამ საკითხის დღის წესრიგში შეტანისა, მაგრამ სთქვა, რომ საჭირო არ არის ახლავე გადავწყვიტოთ საკითხთა განხილვის რიგი, რაც თვით უშიშროების საბჭომ უნდა გადასწყვიტოს. თავმჯდომარე ჯონსონი დაეთანხმა საბჭოთა წარმომადგენელს.

ა. ა. გრომიკოს გამოსვლა უშიშროების საბჭოს სხდომაზე

ნიუ-იორკი, 31 დეკემბერი. (ტასი). უშიშროების საბჭოს სხდომაზე ა. ა. გრომიკომ განაცხადა:

„ბატონო თავმჯდომარევ, გენერალური ასამბლეის მიერ ამა წლის 14 დეკემბერს მიღებული რეზოლუციის მნიშვნელობა ცნობილია. ეს რეზოლუცია მიღებულ იქნა იმ წინადადების გულდასმით და ხანგრძლივად განხილვის შემდეგ, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ გენერალური ასამბლეის სესიაზე შემოიტანა შეიარაღების საყოველთაო შემცირების საკითხის შესახებ. შემდგომ გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელსაც, თუ იგი სათანადოდ იქნა განხორციელებული, უდიდესი მნიშვნელობა, ექნება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების თვალსაზრისით. ვფიქრობ, გენერალური ასამბლეის ამ რეზოლუციის მნიშვნელობა ყველასათვის ცნობილი უნდა იყოს და ამიტომ ამჟამად მე არ ვაპირებ ვრცლად ვილაპარაკო ამ თემაზე.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ უშიშროების საბჭო დაუყოვნებლივ შეუდგეს პრაქტიკულ ღონისძიებათა ჩამოყალიბებას ამ რეზოლუციის განსახორციელებლად. ამაზეა ლაპარაკი, კერძოდ, რეზოლუციის მე-2 პუნქტში. რეზოლუციის მე-4 პუნქტში აღნიშნულია, რომ საჭიროა დაჩქარდეს ატომის ენერგიის კომისიის მოხსენებათა განხილვა, აგრეთვე კონტროლისა და ინსპექციის საერთაშორისო სისტემის შექმნის შესახებ კონვენციის ან კონვენციათა პროექტის განხილვა, ამასთან ეს კონვენციები, როგორც რეზოლუციაშია აღნიშნული, უნდა შეიცავდნენ ატომური იარაღის ან ყველა იმ სხვა სახის იარაღის აკრძალვას, რასაც ამჟამად იყენებენ და მომავალში გამოიყენებენ მასობრივი მოსპობისათვის, და კონტროლს ატომის ენერგიისადმი იმ მოცულობით, რაც საჭიროა მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით მისი გამოყენების უზრუნველსაყოფად.

შემდეგ რეზოლუციის მე-5 პუნქტში აღნიშნულია იმის საჭიროება, რომ უშიშროების საბჭო დაუყოვნებლივ შეუდგეს წინადადებათა გამომუშავებას ატომის ენერგიისადმი კონტროლთან და შეიარაღების საყოველთაო რეგულირებასა და შემცირებასთან დაკავშირებით ისეთი პრაქტიკული და ეფექტიანი გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით, რომლებიც გენერალური ასამბლეის ამ რეკომენდაციების პრაქტიკულად განხორციელების მომასწავებელი იქნებოდნენ.

ამრიგად, გენერალური ასამბლეის მიერ ამა წლის 14 დეკემბერს მიღებულ რეზოლუციაში უშიშროების საბჭოს რჩევა ეძლევა დაუყოვნებლივ შეუდგეს მის მიერ გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას.

სწორედ ამაზე დაყრდნობით საბჭოთა მთავრობამ უშიშროების საბჭოს განსახილველად შემოიტანა წინადადება, რომელშიც ნათქვამია: „ითვალისწინებს რა, რომ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების საყოველთაო რეგულირება და შემცირება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში და რომ ამ საკითხზე გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების რეალიზაცია უშიშროების საბჭოს ერთ-ერთ პირველი რიგისა და მთავარ ამოცანას წარმოადგენს, საბჭო ადგენს:

1) დაიწყოს პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავება შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების საყოველთაო რეგულირებისა და შემცირების შესახებ და შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ გენერალური ასამბლეის 1946 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების განსახორციელებლად.

2) შეიქმნას კომისია უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისაგან, რომელსაც დაევალოს ერთი ან ორი თვის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს, ვიდრე სამი თვის ვადისა, მოამზადოს და უშიშროების საბჭოს წარუდგინოს თავისი წინადადებანი ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის შესაბამისად".

მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ შემოტანილი წინადადება განხილულ იქნება მთელი სერიოზულობით, ვინაიდან ამას გვავალებს გენერალური ასამბლეის ზემოთ ნახსენები გადაწყვეტილება.

ბატონმა ჯონსონმა თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ მას სურს, რათა განხილულ იქნას არა საბჭოთა მთავრობის მიერ შემოტანილი განცხადება, არამედ გენერალური ასამბლეის 14 დეკემბრის რეზოლუცია. მე მსურს ამერიკის წარმომადგენლის ყურადღება მივაპყრო იმ გარემოებას, რომ საბჭოთა წინადადება ეხება სწორედ გენერალური ასამბლეის 14 დეკემბრის რეზოლუციას. რაკი ასეა, როგორღა შეიძლება ლაპარაკი იმაზე, თითქოს ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია ისე, რომ არ განვიხილოთ საბჭოთა მთავრობის მიერ შემოტანილი წინადადებანი, რომელთა მიზანია ასამბლეის ამ გადაწყვეტილების განხორციელების დაჩქარება. როგორც ცნობილია, საბჭოთა წინადადება აყენებს საკითხს, რათა ამ მიზნით შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეიმუშავებს პრაქტიკულ ღონისძიებებს ასამბლეის გადაწყვეტილების განხორციელების დასაჩქარებლად.

რაც შეეხება იმ საკითხს, საბჭოთა წინადადება განხილულ იქნას უშიშროების საბჭოს დღევანდელ სხდომაზე თუ შემდეგ სხდომაზე, უნდა ვთქვა, რომ უკეთესი იქნებოდა ეს წინადადება განგვეხილა დღესვე, მაგრამ თუ უშიშროების საბჭოს ზოგიერთ წევრს მიაჩნია, რომ ამათუიმ მოსაზრებით უკეთესი იქნებოდა ეს წინადადება ამ სხდომაზე არ ყოფილიყო განხილული, მაშინ მე ამის საწინააღმდეგო არაფერი მექნება. თუ უშიშროების საბჭოს ზოგიერთი წევრი მომზადებული არ არის დღეს განიხილოს ეს წინადადება, მე იმის წინააღმდეგი არ ვიქნები, რომ იგი განხილულ იქნას მორიგ სხდომაზე. მაგრამ უმჯობესია, თუ დღეს შევთანხმდებით საბჭოს მორიგი სხდომის თარიღის შესახებ.

ამერიკის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭომ უნდა განიხილოს არა მარტო საბჭოთა წინადადება გენერალური ასამბლეის 14 დეკემბრის რეზოლუციის შესახებ, არამედ სხვა წინადადებებიც ამ რეზოლუციის თაობაზე. მე ვეთანხმები ამერიკის წარმომადგენლის ამ განცხადებას და მონაწილეობას მივიღებ იმ დამატებითი წინადადებების განხილვაში, რომლებიც შეიძლება შემოიტანონ უშიშროების საბჭოს სხვა წარმომადგენლებმა".

უშიშროების საბჭოში პოლონეთის წარმომადგენლის ლანგეს განცხადება

ნიუ-იორკი, 31 დეკემბერი (ტასი). პოლონეთის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, პოლონეთის წარმომადგენელმა უშიშროების საბჭოში ლანგემ პრესის წარმომადგენელთ აცნობა, პოლონეთის მთავრობა წინადადებას შეიტანს, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნას ვარშავაში, რადგან მეორე მსოფლიო ომი პოლონეთის ტერიტორიაზე დაიწყო და პოლონეთი ყველა სხვა ქვეყანაზე მეტად დაზარალდა გერმანული ოკუპაციის საშინელებათაგან. ლანგემ აღნიშნა, რომ ეს იქნება სამართლიანობის ტრიუმფის დემონსტრაცია და გაფრთხილება, რომ აგრესიული ომის დანაშაული დაუსჯელად არ რჩება.

მდგომარეობა ინდონეზიაში

ჰააგა, 1 იანვარი. (ტასი). ინდონეზიიდან მიღებული ცნობებით, სამხედრო წესები იავაზე, სუმატრასა და ცელებესზე სულ უფრო დაძაბული ხდება. ანეპის სააგენტო იუწყება, რომ ჰოლანდიის ჯარებს ამ უკანასკნელ ხანს ბრძოლა ჰქონდათ ინდონეზიელთა პარტიზანულ რაზმებთან. ყველაზე გაფართოებული შეტაკება ხდება სურაბაიის, სემარანგის, ბანდუნგის სექტორებში და მთელი ბატავია-ბეიტენზორგის გზის გასწვრივ.

თეატრებში

4 იანვარს: სახელმწიფო ოპერა — „დაისი"; მარჯანიშვილის სახელობის — „კოლმეურნის ქორწინება"; გრიბოედოვის სახელობის — დღისით და საღამოს — „მეზღვაურები"; მუსიკალური კომედიის — „მარიცა"; მოზარდ მაყურებელთა ქართული — დღისით — ნაძვის ხე, საღამოს — „ჩვენი ახალგაზრდობა"; რუსული — დღისით და საღამოს — „ბროლის ფეხსაცმელი".

კინოებში

4 იანვარს: რუსთაველის სახელობის — „გიორგი სააკაძე" (II სერია); დამკვრელი — „ხალხთა სამეჯლისო"; კომკავშირელი — „არსენა"; სპარტაკი — „მუსიკალური ისტორია"; ლუქსემბურგის სახელობის — „ხილვა"; 26 კომისრის სახელობის — „ფიცი".

მწერალთა კლუბში

შაბათს, 4 იანვარს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კლუბში კონსტანტინე გამსახურდია წაიკითხავს უილიამ შექსპირის „ჰამლეტის" ქართულ თარგმანს.

შესვლა თავისუფალია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ჰიდრობიოლოგიის განყოფილების გამგის თანამდებობაზე.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე არა უგვიანეს 10 დღისა ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

განცხადებას უნდა დაერთოს: 1) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 2) ავტობიოგრაფია, 3) ასლი დიპლომისა უმაღლესი განათლების შესახებ, 4) ასლი დოკუმენტებისა სამეცნიერო ხარისხის და წოდების შესახებ, 5) მეცნიერული ნაშრომების სია, 6) მეცნიერული ნაშრომები.

დირექცია

მარშალ ტიტოს სიტყვა რადიოთი

ბელგრადი, 1 იანვარი. (ტასი). როგორც ბელგრადის რადიო გადმოგვცემს, გუშინ, ახალი წლის წინადღეს, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მარშალმა იოსიპ ბროზ ტიტომ ბელგრადის რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა იუგოსლავიის ხალხების მიმართ.

1946 წელი, განაცხადა მარშალმა ტიტომ, სამშობლოს აღდგენის საქმეში ჩვენი ხალხების დიდ ღონისძიებათა წელი იყო და ამავე დროს იგი იყო დაბრკოლებათა დაძლევისა და ჩვენი ქვეყნის აღდგენისა და მშენებლობის მიღწევაში დიდ გამარჯვებათა წელი.

მარშალმა ტიტომ აღნიშნა უდიდესი შრომითი აღმავლობა, რამაც მოიცვა იუგოსლავიელი ხალხის ფართო მასები, და დაწვრილებით შეეხო 1946 წლის შედეგებს.

— გასულ წელს, — სთქვა მარშალმა ტიტომ, — აგებული და აღდგენილია 250 ათასამდე სოფლისა და ქალაქის სახლი, აღდგენილია ათასობით კილომეტრი დანგრეული გზა, აგებული და აღდგენილია რამდენიმე ასეული კილომეტრი რკინიგზის ხაზი, ასობით პატარა და დიდი სარკინიგზო და სხვა ხიდი, აღდგენილი და ამუშავებულია ომის დროს დანგრეული ასობით სხვადასხვა საწარმო, აღდგენილია მრავალი მაღარო, აგებულია ასობით ახალი საწარმო. ვოევოდინის განადგურებული რაიონებიდან მრავალ ათასობით ოჯახი გადმოსახლდა სლოვენიაში. 1946 წელს შეუპოვრად და განუწყვეტლივ უმჯობესდებოდა და ვითარდებოდა ჩვენი სახელოვანი არმია — ჩვენი დამოუკიდებლობისა და მშვიდობიანი განვითარების დამცველი. ჩვენი მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის შარშან მომზადება მიიღო და ძვირფასი გამოცდილება შეიძინა ათასობით მშრომელმა, აგრეთვე ხელმძღვანელმა კადრებმა. ყოველივე ეს უდიდეს ფიზიკურ ძალასა და მატერიალურ საშუალებებს მოითხოვდა.

რასაკვირველია, ყოველივე ეს მიღწეულ, როცა კარგად არის ცნობილი, რომ, საბჭოთა კავშირის გარდა, ჩვენი ქვეყანა ყველაზე მეტად დაინგრა ომის დროს. როგორ მოხერხდა ამის განხორციელება, როცა ომის შემდეგ ჩვენ არა გვქონდა საჭირო ფულადი სახსრები, როცა დღემდე არავითარი სესხი არ აგვიღია ჩვენს ქვეყანაში და დახმარება არ გვითხოვია საზღვარგარეთიდან.

ჩვენ სამშობლოს მშენებლობაში ასეთ შედეგს მხოლოდ ჩვენი ერთიანობით, შეუპოვრობითა და შრომით მივაღწიეთ. ამას იმიტომ მივაღწიეთ, რომ ძალაუფლება ხალხის ხელშია, რომ ყველა უმნიშვნელოვანესი საწარმოო საშუალებანი მშრომელთა ხელშია და არა ექსპლოატატორებისა, რომელნიც ხალხის კეთილდღეობისათვის კი არ ფიქრობდნენ, არამედ საკუთარი გამდიდრებისაკენ ისწრაფოდნენ. ამას იმიტომ მივაღწიეთ, რომ შეუბრალებელნი ვიყავით და ვართ სპეკულაციისა და კონტრაბანდისადმი. ამას იმიტომ მივაღწიეთ, რომ არ დავუშვით, რათა რეაქციონერებს ჩვენს ქვეყანაში და მის გარეთ ხელი შეეშალათ ჩვენთვის იმ ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც დასახული გვქონდა. ამას იმიტომ მივაღწიეთ, რომ ჩვენს ხალხებს მტკიცედ სწამთ ახალი იუგოსლავია, რომ ყველა ჩვენს ხალხს უსაზღვროდ უყვარს იგი, იმიტომ, რომ იგი ჩვენი საერთო ბრძოლითა და საერთო ტანჯვით იშვა. ასეთ შედეგს იმიტომ მივაღწიეთ, რომ შეგნებულად და თავდადებულად მუშაობდა ჩვენი ხალხი: მუშები, გლეხები, ინტელიგენცია. ამას იმიტომ მივაღწიეთ, რომ ჩინებული ახალგაზრდობა გვყავს, რომლითაც ჰეშმარიტად შეგვიძლია ვიამაყოთ, რადგან ეს ახალგაზრდობა ჩვენი ქვეყნის აღდგენა-მშენებლობისათვის თავდადებული და შეუპოვარი მუშაობით მაგალითია სხვებისათვის. ჩვენს ხელთ არსებული ცნობების თანახმად, 1946 წელს 20 მილიონზე მეტი ნებაყოფლობითი უფასო სამუშაო დღიდან მარტო ჩვენმა ახალგაზრდობამ მისცა სახელმწიფოს, ესე-იგი ხალხს, 16 მილიონზე მეტი ნებაყოფლობითი უფასო სამუშაო დღე. სწორედ ჩვენი [illegible] შეგნებულობამ [illegible] უზრუნველყო [illegible] ლობაში წარმატებათა მიღწევა. ამასთანავე ეს არის გარანტია, რომ საქმეებით მიღწეულ იქნება ყველა ჩვენი მიზანი.

შემდეგ მარშალმა ტიტომ აღნიშნა სიძნელეები, რომლებსაც იუგოსლავია წააწყდა თავის აღდგენით მუშაობაში.

შარშან, — განაგრძო მან, — ჩვენ გვქონდა დიდი და მცირე ნაკლოვანებანი, და ამიტომ გამარჯვებანი ჩვენი ქვეყნის აღდგენა-მშენებლობაში უფრო მეტ აღტაცებას იწვევს. ეს გამარჯვებანი იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა დიდმა უმრავლესობამ მიიღო მონაწილეობა იმ ამოცანების შესრულებაში, რომლებიც ჩვენს წინაშე შარშან იდგა. ეს უმრავლესობა შეადგენს ჩვენი მოსახლეობის: მუშების, გლეხების, ახალგაზრდობის, ხალხური ინტელიგენციისა და ყველა იმ მშრომელი მოქალაქის 96 პროცენტს, რომლებიც გაერთიანებული არიან სახალხო ფრონტად, გაერთიანებული არიან ერთი პროგრამით, რაც დასახულია ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილთა სისხლით, რომლებიც დიდი განმათავისუფლებელი ომის ბრძოლის ველებზე დაეცნენ.

ამ გზიდან ყოველ გადახრას შეეძლო საფრთხე შეექმნას ჩვენი ქვეყნის მიღწევებს და იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც ჩვენმა ხალხებმა დაისახეს. ამას ანგარიშს არ უწევენ მხოლოდ ის პოლიტიკანები, რომელთაც წარსულში ვერაფერი ისწავლეს. ჩვენ ანგარიშს ვუწევთ იმას, რომ ჩვენში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ძველი ტიპის პოლიტიკანები, რომლებიც არაფერს დაეძებენ, გარდა თავიანთი ვიწრო პარტიული საქმეებისა. მათ არ აინტერესებთ ქვეყნის მშენებლობა და აღდგენა. მათ არ აინტერესებთ დანგრეული სოფლებისა და ქალაქების, ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებათა მშენებლობა და აღდგენა. ამ ადამიანთა აზრით, ჩვენ არ გვესაჭიროება ინდუსტრიალიზაცია, არ გვესაჭიროება ელექტროფიკაცია. ამ ადამიანთა აზრით, ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ძველ პატრიარქალურ მეურნეობას. ჩვენ ვიცით, საიდან მომდინარეობს ეს, ვიცით, იმპერიალისტებს სურთ, რომ ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად ჩამორჩენილი დარჩეს, რომ ჩვენი ქვეყანა კვლავ ადვილად ჩაიგდონ ხელში იმპერიალისტმა მტაცებლებმა, როგორც ეს წარსულში იყო. ასეთი ადამიანები თავიანთ თავსა და თავიანთ პროგრამას რომ დემოკრატიის ნიღბით არ მალავდნენ, სრულიად არ იქნებოდნენ ჩვენთვის საშიში. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ მათ მუდამ დემოკრატებად მოაქვთ თავი, ისინი საფრთხეს წარმოადგენენ და ფხიზლად უნდა ვიყოთ მათ მიმართ. ფხიზლად ვიქნებით და სრულებით გავაუვნებლებთ მათს გეგმებს.

მარშალმა ტიტომ აღნიშნა, რომ იუგოსლავია შედის მშვიდობიანი განვითარების ახალ წელში, აღდგენა-მშენებლობის მეორე წელში და დასასრულ სთქვა:

— დაე 1947 წელი ჩვენი ქვეყნის მშენებლობის საქმეში კიდევ უფრო დიდ წარმატება-გამარჯვებათა წელი იყოს. ამ წლიდან ვიწყებთ გეგმიანი მეურნეობის წარმოებას, იწყება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ელექტროფიკაციის ჩვენი ხუთწლიანი გეგმა, რომლის შესრულებაც ჩვენი მომავალი თაობის ბედნიერი ცხოვრების სწრაფი განხორციელების პირობას წარმოადგენს. ამის განხორციელება იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელოვნად ამაღლდეს მშრომელთა ცხოვრებისა და კულტურის დონე: მუშების, გლეხების, ხალხური ინტელიგენციისა და ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი მოქალაქის ცხოვრებისა და კულტურის დონე. მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ იმას, რომ შევასრულოთ ეს ძნელი ამოცანა, რომელიც ახალ წელს დასახულია ჩვენი ხალხების წინაშე, და ამრიგად დავაჩქაროთ ჩვენი ხუთწლიანი გეგმის შესრულება.

ტრუმენის პროკლამაცია საომარი მოქმედების პერიოდის დამთავრების შესახებ

ვაშინგტონი, 31 დეკემბერი. (ტასი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ტრუმენმა პრეს-კონფერენციაზე პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა პროკლამაცია მეორე მსოფლიო ომის საომარი მოქმედების პერიოდის ოფიციალური დამთავრების შესახებ. პროკლამაცია ძალაში შედის 31 დეკემბერს 17.00 საათზე გრინვიჩის დროით. ტრუმენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროკლამაცია არას ამბობს ომის მდგომარეობის შეწყვეტაზე, არამედ აღნიშნავს „საომარი მოქმედების პერიოდის" დამთავრებას. პროკლამაციის მიხედვით დაუყოვნებლივ უქმდება ომიანობის დროის დაახლოებით 20 სტატუტის თანახმად თავის დროზე მთავრობისათვის მინიჭებული საგანგებო რწმუნებანი და უახლოეს მომავალში გაუქმდება სხვა რწმუნებანიც.

კორესპონდენტის შეკითხვაზე, ეხება თუ არა პროკლამაცია ინგლისისა და ამერიკის შტაბების უფროსთა გაერთიანებულ საბჭოს, ტრუმენმა უარყოფითად უპასუხა. მან სთქვა, რომ ინგლისისა და ამერიკის შტაბების უფროსთა გაერთიანებული საბჭო სულ ცოტა ექვს თვეს იარსებებს.

ცნობები ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ნოემბრის არჩევნების შესახებ

ნიუ-იორკი, 31 დეკემბერი. (ტასი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობებით ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ნოემბრის არჩევნებში რესპუბლიკურმა პარტიამ მიიღო 18.262.121 ხმა, ანუ ყველა ხმის 52,1 პროცენტი, დემოკრატიულმა პარტიამ—15.275.193, ანუ 44,1 პროცენტი, სხვა პარტიებმა — 1.093.121, ანუ 3,2 პროცენტი. სულ კენჭისყრაში მონაწილეობდა 34.630.426 კაცი, რაც შედარებით მცირე რიცხვია იმ წლებში ჩატარებული კონგრესის არჩევნებისათვისაც კი, როცა პრეზიდენტის არჩევნები არ ხდება. ჩვეულებრივ კონგრესის არჩევნების დროს კენჭისყრაში დიდძალი ამომრჩეველი მონაწილეობს, როცა ეს არჩევნები პრეზიდენტის არჩევნებს ემთხვევა. მაგალითად, 1944 წელს, როცა რუზველტი ხელახლა აირჩიეს პრეზიდენტად, კონგრესის არჩევნებში მონაწილეობდა 47.976.263 კაცი. მაგრამ მაშინაც კონგრესის არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი 1,5 მილიონით ნაკლები იყო, ვიდრე 1938 წელს.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ბ. ნანიტაშვილი**

მოქალაქე **ივანე ლუკას-ძე სკორიკოვმა,** მცხოვრებმა პლეხანოვის პროსპ. № 148, აღძრა საქმე კლარა ცეტკინის ქ. № 119 მცხოვრებ მოქალაქე **ვერა მაქსიმეს ასულ სკორიკოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ნიკოლოზ ვასილის-ძე გამზიანკინმა,** მცხოვრებმა ნავთლუღის ქ. № 24, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ქსენია დიმიტრის ასულ გამზიანკინასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის III უბნის სახალხო სასამართლო.

შვილები ლენა, ნინო, შვილიშვილი ქეთო კვალიაშვილი ქმარშვილით იუწყებიან თამარ (თაფლო) სოლომონის ასულ დეკანოზიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 4/I, 7 ს. გამოსვენება 5/I, 2 ს. ხანაპირის, 1.

ოჯახი იუწყება **გიორგი ოსების-ძე მეძველიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4/I, 6½ ს. გამოსვენება 5/I, 2 ს. მარაბდის, 3.

მეუღლე ანა, შვილები ქენია, ეკატერინე, ლევან ოჯახებით იუწყებიან **ზაქარია (მაქრო) სერგოს-ძე აჯიმამუდოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4/I, 7 ს. გამოსვენება 5/I, 1 ს. სიათნოვას, 14.

შვილები გრიგოლ, ელიზბარ, ბიძინა, ძმები ნიკოლოზ, რომან, და ეფემია ოჯახებით იუწყებიან **სოფიო გრიგოლის ასულ ჩხიკვაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4/I, 7 ს. გამოსვენება 5/I, 2 ს. პეტრიაშვილის, 25.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი იუწყება დოცენტ დიმიტრი ტაბიძის შვილის ნელის გარდაცვალებას.

ნინო ჯღბლაძე შვილებით და გიორგი ცეცხლაძე იუწყებიან ბებიის დესპინე ლევანის ასულ ცერცვაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 4/I, 8 ს. გამოსვენება 5/I, 2 ს. ხოშტარიას, 22.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 110,000

უშ 00091